



## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№1455

2016 წლის 22 დეკემბერი

ქ.ლაგოდეხი

**ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საშეშე მერქანის სოციალურად  
დაუცველი ოჯახებისთვის გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ოქტომბრის №58 დაგენილებით დამტკიცებული „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის წესის“ მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

### ვბრძანებ:

მუხლი 1. თბობის სეზონთან დაკავშირებით, გადაეცეს სოციალურად დაუცველ ოჯახებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკუთებაში არსებული ჭრების შედეგად მოპოვებული საშეშე მერქანი, რომელიც დასაწყობებულია ქ.ლაგოდეხში, ჩოლოყაშვილის ქ.N8-ში მდებარე შ.პ.ს. „კეთილმოწყობის“ სამეურნეო ეზოში. თვითოეულ ოჯახზე 3 კუბ.მეტრის ოდენობით, სულ 12 კუბ.მეტრის ოდენობის საშეშე მერქანი დანართი N1 შესაბამისად.

**საფუძველი:** ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსის 2016 წლის 22 დეკემბრის №3272 მოხსენებითი ბარათი/.

მუხლი 2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის“ უფროსს გიორგი მანგოშვილს.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: გურჯაანი, სანაპიროს ქ.№24.



კარლო ჯამბურია